1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 3

1984

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (483) მარტი 1984 წელი

შინაარსი

განკოფილება პირველი

65. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

66. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება 1984 წლის 2 მარტს ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვასთან დაკავშირებით ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

67. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 26-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.

68. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ელმავალმშენებელთა № 11, კლარა ცეტკინის № 34, კალინინის № 40, ნუცუბიძის № 68, გორის რაიონის ატენის № 114 და ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის № 240 საარჩევნო ოლქებისაგან დეპუტატების უფლებამოსილებათა ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

69. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ლენინის რაიონის ელმავალმშენებელთა № 11, ოქტომბრის რაიონის მარქსის № 31 და კლარა ცეტკინის № 34, კალინინის რაიონის კალინინის № 40, საბურთალოს რაიონის დელისის № 65, ორჯონიკიძის რაიონის ნუცუბიძის № 68, გორის რაიონის ატენის № 114, სიღნაღის რაიონის წწორის № 207, ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის № 240 და ქალაქ სოხუმის ლაკობას № 361 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

70. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

71. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ა. მ. შანშიაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

72. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ი. ა. ქობალიასთვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

73. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ა. დ. ჭანუყვაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

74. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ქედის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

75. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ხელვაჩაურის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზით“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

76. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ხულოს რაიონული გაზეთის „კოლექტიური შრომის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

77. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. შ. დ. კიკალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

78. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ლ. ვ. ჟიჟიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

79. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. მ. ი. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

80. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. გ. ლ. ხარატიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

81. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ი. გ. ხვიჩიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

82. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. მ. მ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

83. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ხ. ზეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

84. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. მ. იანკოვსკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

85. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ბ. ვ. სარჯველაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

86. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ე. ა. ჩოხელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

87. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. გ. ხავთასის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

88. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ვ. ხვინგიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

89. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. დ. თორდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

90. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. დ. სესიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

91. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ფ. მ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

92. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

93. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. ძაძუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

94. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მრავალტირაჟიანი გაზეთის „ნატანებელი კოლმეურნის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

95. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ლ. კეკელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

96. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. კ. რატიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

97. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ვ. ა. კაბანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

98. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. მ. ა. ახალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

99. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. მ. ნ. მღებრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

65 **საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ**

„სსრ კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ და „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების შესახებ სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 15 დეკემბრისა და 1984 წლის 11 იანვრის გრძანებულებათა შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10, № 17, მუხ. 268 და № 26, მუხ. 417; 1965 წ., № 13, მუხ. 240; 1972 წ., № 8, მუხ. 162; 1973 წ., № 5, მუხ. 72; 1974 წ., № 6, მუხ. 103 და № 9, მუხ. 171; 1977 წ., № 8, მუხ. 113; 1982 წ., № 12, მუხ. 371) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-8[1] მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „ძალმომრეობითი მოქმედება უფროსის მიმართ (260-ე მუხლი)“ დაემატოს სიტყვები „სამხედრო მოსამსახურეთა ურთიერთობის საწესდებო წესების დარღვევა დამამძიმებელ გარემოებებში, როცა მათ შორის არ არის ხელქვეითობის დამოკიდებულება (262-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები).“

2. 65-ე მუხლში:

პირველ ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სამხედრო ძლიერების საზიანოდ“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ“;

მეორე ნაწილში სიტყვები „პასუხისმგებლობა არ ეკისრება სსრ კავშირის მოქალაქეს“ შეიცვალოს სიტყვებით „პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება სსრ კავშირის მოქალაქე“.

3. 69-ე მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტების მიზნით აფეთქება, ცეცხლის წაკიდება ან სხვა მოქმედების ჩადენა ადამიანთა მასობრივად მოსასპობად, სხეულის დასაზიანებლად ან მათი ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მისაყენებლად, საწარმოთა, ნაგებობათა, მიმოსვლის გზათა და საშუალებათა, კავშირგაბმულობის საშუალებათა, ანდა სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დასანგრევად ან დასაზიანებლად, აგრეთვე იმავე მიზნებით მასობრივი მოწამ-

ვლა ან ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების გავრცელება“.

4. 71-ე მუხლში:

პირველ ნაწილში სიტყვები „ასეთივე შინაარსის ლიტერატურის“ შეიცვალოს სიტყვებით „ასეთივე შინაარსის ნაწარმოებთა წერილობითი, ნაბეჭდი ან სხვა ფორმით“.

მეორე ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ იგივე მოქმედება, ჩადენილი უცხოეთის ორგანიზაციებისაგან ან ამ ორგანიზაციების ინტერესებისათვის მოქმედ პირთაგან მიღებული ფულადი სახსრებისა თუ სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებით, ან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის წინათ მსჯავრდებული პირის მიერ, აგრეთვე ჩადენილი ომიანობის დროს“.

5. შეივსოს კოდექსი შემდეგი შინაარსის 77[1] მუხლით:

„მუხლი 77[1]. უცხოეთის ორგანიზაციებისათვის იმ ცნობების გადაცემა, რომლებიც სამსახურებრივ საიდუმლოებას წარმოადგენენ

უცხოეთის ორგანიზაციებისათვის ან მათი წარმომადგენლებისათვის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ან სხვა ცნობების გადაცემა, რომლებიც სამსახურებრივ საიდუმლოებას წარმოადგენენ, ან მათი გადასაცემად შეგროვება იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ცნობები მინდობილი ჰქონდა სამსახურის ან სამუშაოს გამო, ანდა მისთვის ცნობილი გახდა სხვა გზით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

იგივე მოქმედება, რომელმაც დიდი ქონებრივი ზარალი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ან გამოიწვია სხვა მძიმე შედეგები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვა წლამდე“.

6. 78[1] მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილით:

„პირები, რომლებიც იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით, და ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს ან აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, აგრეთვე ამ მიზნით ქმნიან დანაშაულებრივ დაჯგუფებებს ან აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში, —

ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე“.

ეს ნაწილი ჩაითვალოს ამ მუხლის პირველ ნაწილად.

78[1] მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, აგრეთვე მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედებები“.

ეს აბზაცი ჩაითვალოს ამ მუხლის მეორე ნაწილის პირველ აბზაცად.

78[1] მუხლის მეორე აბზაცი ჩაითვალოს ამ მუხლის მეორე ნაწილის მეორე აბზაცად.

7. 79-ე მუხლში სიტყვები „იარაღისა და“ შეიცვალოს სიტყვებით „იარაღის, საბრძოლო მასალისა და“.

8. 84-ე მუხლს პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის **ახალი ნაწილი:**

„იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე“.

მეორე ნაწილი ჩაითვალოს მესამე ნაწილად.

9. 89-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იგივე მოქმედება, ჩადენილი ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ადრე ნასამართლევი პირის მიერ, აგრეთვე სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაცია დიდი ოდენობით“.

10. 255-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვის „სასწავლო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან შესამოწმებელი“.

11. 261-ე და 262-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 261. ხელქვეითის მიერ უფროსის ან უფროსის მიერ ხელქვეითის შეურაცხყოფა

ხელქვეითის მიერ უფროსის, ასევე უფროსის მიერ ხელქვეითის შეურაცხყოფა ძალმომრეობითი მოქმედებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსი თვიდან ხუთ წლამდე.

მუხლი 262. სამხედრო მოსამსახურეთა ურთიერთობის საწესდებო წესების დარღვევა, როცა მათ შორის არ არის ხელქვეითობის დამოკიდებულება

ა) სამხედრო მოსამსახურეთა ურთიერთობის საწესდებო წესების დარღვევა, როცა მათ შორის არ არის ხელქვეითობის დამოკიდებულება, რაც გამოიხატა ცემით ან სხვაგვარი ძალადობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი რამდენიმე პირის მიმართ, ან რასაც დაზარალებულის სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ, ან იარაღის გამოყენებით, ან თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტ წლამდე“.

12. 264-ე მუხლში:

„ა“ პუნქტს სიტყვების „სამ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა“:

„ბ“ პუნქტი ჩაითვალოს ძალადაკარგულად;

„გ“ პუნქტს სიტყვების „ათ დღე-ღამეზე მეტი ხანგრძლივობით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა, ან თუმცა ათ დღე-ღამეზე ნაკლები ხანგრძლივობით, მაგრამ სამ დღე-ღამეზე მეტი ხნით, ჩადე-

ნილი განმეორებით ერთი წლის განმავლობაში“ და ჩაითვალოს იგი „ბ“ პუნქტად.

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის „გ“ პუნქტი:

„გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, თუ თვითნებური არყოფნა გრძელდებოდა ერთ თვეზე მეტი ხნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე“;

პუნქტი „დ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს, თუ თვითნებური არყოფნა გრძელდებოდა ერთ დღე-ღამეზე მეტი ხნით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე“.

13. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 269[1] მუხლი:

„მუხლი 269[1]. იარაღის, აგრეთვე იმ ნივთიერებების და საგნების ხმარების წესების დარღვევა, რომლებიც მომეტებულ საფრთხეს უქმნიან გარშემო მყოფთ

ა) იარაღის, აგრეთვე საბრძოლო მასალების, ფეთქებადი, რადიაქტიური და სხვა ნივთიერებების და საგნების ხმარების წესების დარღვევა, რომლებიც მომეტებულ საფრთხეს უქმნიან გარშემო მყოფთ, და რასაც დაზარალებულის სხეულის დაზიანებანი მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ბ) იგივე ქმედობა, თუ მას რამდენიმე პირის სხეულის დაზიანება ან დაზარალებულის დაღუპვა მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთი წლიდან ათ წლამდე.

გ) ამ მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, რასაც რამდენიმე პირის დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე“.

14. 273-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 273. საყარაულო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა

ა) საყარაულო (სავახტო) სამსახურის საწესდებო წესების და ამ წესების განსავითარებლად გამოცემულ ბრძანებათა და განკარგულებათა დარღვევა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, —

იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას.

გ) ამ მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, რასაც მოჰყვა მავნე შედეგები, რომელთა თავიდან ასაცილებლად დანიშნულია ეს ყარაული (ვახტი), —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ათ წლამდე.

დ) საბადრაგო სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა მავნე შედეგები, რომელთა თავიდან ასაცილებლად დანიშნულია ეს ბადრაგი,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ე) ამ მუხლის „ა“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე.

ვ) ამ მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ან ისჯება სიკვდილით“.

15. 275-ე მუხლის „ა“ პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საბჭოთა კავშირზე მოულოდნელი თავდასხმის დროულად აღმოჩენისა და მოგერიებისათვის ან სსრ კავშირის დასაცავად და მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საბრძოლო მორიგეობის (საბრძოლო სამსახურის) შესრულების წესების დარღვევა“.

16. 278-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 278. ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების გადამეტება ან უმოქმედობა

ა) უფროსის ან თანამდებობის პირის მიერ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ხელისუფლების უმოქმედობა, თუ ეს ქმედობა ჩადენილია სისტემატურად ან ანგარებით, ან სხვა პირადი დაინტერესებით, აგრეთვე თუ მან არსებითი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ბ) იგივე ქმედობა, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ან ისჯება სიკვდილით“.

17. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 278[1] მუხლი:

„მუხლი 278[1]. სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება

ა) უფროსის ან თანამდებობის პირის მიერ სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, თუ მან არსებითი ზიანი გამოიწვია, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ბ) იგივე ქმედობა, ჩადენილი შემამსუბუქებელ გარემოებებში, —

იწვევს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო წესდების წესების გამოყენებას;

გ) ამ მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედობა, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე.

დ) ამ მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე“.

11. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11; 1966 წ., № 3, მუხ. 33, № 11, მუხ. 183, № 12, მუხ. 200; 1970 წ., № 8, მუხ. 124; 1971 წ., № 7, მუხ. 94; 1973 წ., № 5, მუხ. 72, № 6, მუხ. 98, № 11, მუხ. 203; 1974 წ., № 10, მუხ. 190; 1975 წ., № 1, მუხ. 3, № 11,მუხ. 202 და 205; 1977 წ., № 3, მუხ. 28, № 4, მუხ. 42; 1978 წ., № 6, მუხ. 123; 1980 წ., № 7, მუხ. 216; 1982 წ., № 1, მუხ. 2) მესამე ნაწილი ციფრის „77“ შემდეგ შეივსოს ციფრით „77[1]“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 7 მარტი.
№ 2341—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

66 1984 წლის 2 მარტს ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვასთან დაკავშირებით ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

„1984 წლის 2 მარტს ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვასთან დაკავშირებით ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობის გაშლის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1984 წლის 5 მარტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

— მოაწყონ ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვის შესწავლა აღმასკომებთან არსებულ საბჭოთა მშენებლობის ორწლიან სკოლებში, შრომითს კოლექტივებში, საცხოვრებელ ადგილას მოსახლეობას შორის, ამასთან უზრუნველყონ თითოეული საბჭოს, თითოეული შრომითი კოლექტივის საქმიანობისა და ამოცანების საგნობრივი განხილვა სიტყვაში მოცემული დებულებების შესაბამისად;

— მიიღონ ზომები ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ:

ტერიტორიათა კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფას, 1984 წლისა და მთლიანად ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა უთუო რეალიზაციას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებასა და მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას;

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერებას;

საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტებისა და საბჭოების მუდმივი კომისიების სხდომებზე სახელმწიფო საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის, შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშების რეგულარულად მოსმენას;

სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებსა და აღმასრულებელ კომიტეტებში მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შედეგების თაობაზე მოსახლეობის დროულ ინფორმირებას;

მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, იდეური აღზრდის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ფორმირებისათვის მუშაობის გაძლიერებას;

მართლწესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრიობის, ქალაქებში მიკროორაიონთა საბჭოების მუშაობის კოორდინაციის გაუმჯობესებას.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებებმა შეავსონ სამუშაო გეგმები პუნქტებით, რომლებიც გამომდინარეობენ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში მოცემული დებულებებიდან და დასკვნებიდან, გაითვალისწინონ ადგილობრივი საბჭოებისათვის კონკრეტული დახმარების გაძლიერება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მათი როლის ასამაღლებლად, დასახულ ღონისძიებათა ფაქტიური რეალიზაციის ადგილებზე შემოწმება, პრეზიდიუმში დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის სისტემატური განხილვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 მარტი.
№ 2348—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

67 საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 26-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

„ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების მე-13 მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 19 იან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 26-ე მუხლში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., № 6, მუხ. 96) სიტყვები „ერთი წლის“ შეიცვალოს სიტყვით „წლინახევრის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 16 მარტი.
№ 2346—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

68 საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ელმავალმშენებელთა № 11, კლარა ცეტკინის № 34, კალინინის № 40, ნუცუბიძის № 68, გორის რაიონის ატენის № 114 და ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის № 240 საარჩევნო ოლქებისაგან დეპუტატების უფლებამოსილებათა ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გ. ა. მეტონიძის, გ. ლ. გაბუნიას, ვ. ი. ჭელიძის, თ. ვ. გამყრელიძის, ო. ვ. თაქთაქიშვილის და მ. ა. ასლანიკაშვილის თხოვნა სსრ კავშირის XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩევასთან დაკავშირებით მათი საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ელმავალმშენებელთა № 11, კლარა ცეტკინის № 34, კალინინის № 40, ნუცუბიძის № 68, გორის რაიონის ატენის № 114 და ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის № 240 საარჩევნო ოლქებისაგან დეპუტატების გურამ არჩილის ძე მეტონიძის, გურამ დიმიტრის ძე გაბუნიას, ვალერიან ილარიონის ძე ჭელიძის, თამაზ ვალერიანის ძე გამყრელიძის, ოთარ ვასილის ძე თაქთაქიშვილის და მამუკა ალექსანდრეს ძე ასლანიკაშვილის უფლებამოსილება ვადამდე შეწყვეტილად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 21 მარტი.
№ 2353—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

69 თბილისის ლენინის რაიონის ელმავალმშენებელთა № 11, ოქტომბრის რაიონის მარქსის № 31 და კლარა ცეტკინის № 34, კალინინის რაიონის კალინინის № 40, საბურთალოს რაიონის დელისის № 65, ორჯონიკიძის რაიონის ნუცუბიძის № 68, გორის რაიონის ატენის № 114, სიღნაღის რაიონის წნორის № 207, ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის № 240 და ქალაქ სოხუმის ლაკობას № 361 საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები თბილისის ლენინის რაიონის ელმავალმშენებელთა № 11, ოქტომბრის რაიონის მარქსის № 31 და კლარა ცეტკინის № 34, კალინინის რაიონის № 40, საბურთალოს რაიონის დელისის № 65, ორჯონიკიძის რაიონის ნუცუბიძის № 68, გორის რაიონის ატენის № 114, სიღნაღის რაიონის წნორის № 207, ზესტაფონის რაიონის ზედა საქარის № 240 და ქალაქ სოხუმის ლაკობას № 361 საარჩევნო ოლქებში კვირას, 1984 წლის 29 აპრილს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 27 მარტი.
№ 2358—X

გ ა ნ კ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე ო რ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

70 რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

გურგენიძეს თამარ აბესალომის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

„საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი“

ფალავანდიშვილს ნატალია იოსების ასულს — მხატვარს.
შალიკაშვილს ანა ვალერიანის ასულს — მხატვარს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

გვასალიას რუსუდან კირილეს ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

პაქსაშვილს ვიოლეტა არტურის ასულს — თბილისის დრამატული თეატრის მსახიობს.

პაცევიჩს ვერა ბორისის ასულს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“

სვანიძეს ლია ზინონის ასულს — მხატვარს.
ფედოსეევას ირინე გრიგოლის ასულს — მხატვარს.
შაბარშინას ლიდია ივანეს ასულს — მხატვარს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

თარგამაძეს ნაზი დომენტის ასულს — ჟურნალ „მნათობის“ ლიტერატურულ რედაქტორს.

კვირკველიას ელენე კონსტანტინეს ასულს — თეატრმცოდნეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 5 მარტი.
№ 2337ა—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

71 ამხ. ა. ზ. შანშიაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილეს ამხ. ავთანდილ ზაქარიას ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შანშიაშვილს მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 5 მარტი.
№ 2335—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

72 ამხ. ი. ა. ქოგალიასათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის პროფესორს ივანე ანტონის ძე **ქობალიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 6 მარტი.
№ 2339ა—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

73 ამხ. გ. დ. ჭანუყვაძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს გივი დავითის ძე **ჭანუყვაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 6 მარტი.
№ 2341ა—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

74 ქედის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად ქედის რაიონის შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით **რაიონული გაზეთი „კოლმეურნე“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 2 მარტი.
№ 2330—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

75 ხელვაჩაურის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზით“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად ხელვაჩაურის რაიონის შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით **რაიონული გაზეთი „ოქტომბრის გზით“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 2 მარტი.
№ 2331—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

17.810

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

76 ხულოს რაიონული გაზეთის „კოლექტიური შრომის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად ხულოს რაიონის შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით **რაიონული გაზეთი „კოლექტიური შრომა“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 2 მარტი.
№ 2329—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

77 ამხ. შ. დ. კიკალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი ამხ. შოთა დავითის ძე **კიკალიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 2 მარტი.
№ 2332—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

78 ამხ. ლ. ვ. ჟიჟიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე პროფესორი, ლევან ვლადიმერის ძე **ჟიჟიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 2 მარტი.
№ 2326—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

79 ამხ. მ. ი. ჭელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მერი ივანეს ასული **ჭელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 2 მარტი.
№ 2328—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

80 ამხ. გ. ლ. ხარატიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გურამ ლევანის ძე **ხარატიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 2 მარტი.
№ 2325—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

81 ამხ. ა. ტ. ხვიჩიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი ალექსანდრე ტაგუს ძე **ხვიჩია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 2 მარტი.
№ 2327—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

82 ამხ. მ. შ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მერი შალვას ასული **დავითაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 5 მარტი.
№ 2333—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

83 ამხ. ა. ხ. ზეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის აჭარის კანტორის მმართველი ამხ. ალექსანდრე ხაჯის ძე **ზეიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 5 მარტი.
№ 2334—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

84 ამხ. ვ. მ. იანკოვსკაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ვიოლეტა მიხეილის ასული **იანკოვსკაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 5 მარტი.
№ 2336—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

85 ამხ. ბ. ვ. სარჯველაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის პროფესორი ბიძინა ვლადიმერის ძე **სარჯველაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 5 მარტი.
№ 2337—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

86 ამხ. ე. ა. ჩოხელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ელენე ალექსის ასული **ჩოხელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 5 მარტი.
№ 2340—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

87 ამხ. გ. გ. ხავთასის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის გამგე ამხ. გრიგოლ გაბრიელის ძე **ხავთასი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 5 მარტი.
№ 2339—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

88 ამხ. მ. ვ. ხვინგიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის განყო-

ფილების გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი მიხეილ ვლადიმერის ძე **ხვინგია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 5 მარტი.
№ 2338—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

89 ამხ. ვ. დ. თორდუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ვლადიმერ დიმიტრის ძე **თორდუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 6 მარტი.
№ 2340ა—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

90 ამხ. გ. დ. სესიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით მხატვარი გიორგი დიმიტრს ძე **სესიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 6 მარტი.
№ 2338ბ—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

91 ამხ. ფ. მ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების საბოლ წელთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ამხ. ფილიპე მელქისედეკის ძე მახარაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 11 მარტი.
№ 2342—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

92 სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ავარიულ სიტუაციაში თვითმფრინავ ტუ-154-ის დაშვებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

ახალბედაშვილი გურამ ირაკლის ძე — ეკიპაჟის შტურმანი.
ბარკალაია ლუბოვ ნესტორის ასული — ბორტგამცილებელი.
ბექიაშვილი ტახირ გრიგოლის ძე — მეორე პილოტი.
კალინიჩენკო სვეტლანა თევდორეს ასული — უფროსი ბორტგამცილებელი.
მინაკოვა ანა ვლადიმერის ასული — ბორტგამცილებელი.
ოვსიანიკოვა გალინა ოლეგის ასული — ბორტგამცილებელი.
შკარევსკი პეტრე ვიქტორის ძე — ბორტინჟინერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 13 მარტი.
№ 2343—X

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

93 ᲐᲛᲮ. Ა. Ა. ᲫᲐᲫᲣᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ და ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲨᲘ ხᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲛᲮ. ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲛᲑᲠᲝᲡᲘᲡ ᲫᲔ **ᲫᲐᲫᲣᲐ** ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲔᲡ **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ �პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1984 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲛᲐᲠᲢᲘ.
№ 2344—X

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

94 ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲢᲘᲠᲐᲟᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „ᲜᲐᲢᲐᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ ᲐᲦᲖᲠᲓᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲐᲗᲘ ᲓᲐᲠᲐᲖᲛᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲗᲐᲡᲔ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ **ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤ. ᲜᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲢᲘᲠᲐᲟᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲜᲐᲢᲐᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔ“** ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲔᲡ **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ც. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1984 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲛᲐᲠᲢᲘ.
№ 2349—X

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

95 ᲐᲛᲮ. �პ. Ლ. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ხᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-�პᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ და ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲧᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ და ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲝᲗᲮᲛᲝᲪ ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროკლე ლევარსის ძე **კეკელიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 21 მარტი.
№ 2351—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

96 ამხ. პ. კ. რატიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროკოფი კონსტანტინეს ძე **რატიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 21 მარტი.
№ 2352—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

97 ამხ. ე. ა. კაბანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებისათვის გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის, რესპუბლიკის მშრომელთა და ახალგაზრდობის ინტერნაციონალურ და სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის ავიაციის გე-

ნერალ-მაიორი ევგენი ალექსანდრეს ძე კაბანოვი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 22 მარტი.
№ 2355—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

98 ამხ. მ. ა. ახალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. მერი ამბროსის ასული **ახალაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 29 მარტი.
№ 2372—X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

99 ამხ. მ. ნ. მლებრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამეურნეო, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მერაბ ნიკოლოზის ძე **მლებრიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 30 მარტი.
№ 2371—X

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1984 წლის 15 მარტს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გაიმართა საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატებთან შეხვედრა.

შეხვედრის გახსნისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა გულთბილად და გულითადად მიულოცა ხალხის რჩეულთ დიდი ნდობა, უსურვა წარმატებანი სადეპუტატო მოღვაწეობაში. მან აღნიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა უფლებამოსილებანი ფართოა, მაგრამ პასუხისმგებლობაც დიდია. მონაწილეობდე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობაში — ეს ნიშნავს ახორციელებდე კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის საარჩევნო პლატფორმას, რომელშიც განსახიერებულია კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, ხალხის ინტერესები.

ახლანდელი მოწვევის დეპუტატები — ყველასათვის პატივსაცემი ადამიანები, რომლებიც დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობენ შრომითს კოლექტივებში, ჭეშმარიტად ხალხის წარმომადგენლები — საუკეთესო მუშები და კოლმეურნეები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელები და სპეციალისტები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო მუშაკები არიან. მათი უმრავლესობა პირველად არის არჩეული სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, მაგრამ არიან ისეთებიც, ქვეყნის უმაღლეს საბჭოში მუშაობის მდიდარი გამოცდილება რომ აქვთ. ეს გახლავთ მემკვიდრეობითობის ლენინური პრინციპი, რომლის არსი ის არის, რომ სახელმწიფო საქმეთა მართვაში ჩააბან შეგნებული, პოლიტიკურად მომწიფებული, შემოქმედებითად მოაზროვნე მოქალაქეთა ფართო მასები, უზრუნველყონ გამოცდილებისა და სიახალგაზრდავის შერწყმა. თავის მხრივ ახლად არჩეული დეპუტატებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია განაგრძონ წინამორბედთა ესტაფეტა.

ამხ. პ. გ. გილაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ დეპუტატების მოვალეობაა ნიადაგ განამტკიცონ კავშირი მშრომელებთან, ჩასწვდნენ ადამიანთა საჭიროებებსა და საზრუნავს, გულისყურით შეისწავლონ მათი აზრი. პირველ პლანზე უნდა იდგეს იმ ამოცანების თანამიმდევრული განხორციელება, რომლებიც გამოითქვა საარჩევნო კამპანიის, ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრების დროს. აქაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამომრჩეველთა განაწესების, მოქალაქეთა წინადადებებისა და შენიშვნების რეალიზაციას, ადამიანთა გაზრდილი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმზე, მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

შეხვედრაზე გამოსულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატმა ტ. ვ. როსტიაშვილმა, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზებული კომპლექსური რგოლის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. გ. მეუნარგიამ, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის XXVI ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ჰ. კ. აიბამ და მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. ა. წითლიძემ ილაპარაკეს წინა მოწვევის პერიოდში თავიანთი სადეპუტატო მუშაობის შესახებ, განაცხადეს, რომ კვლავაც არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა გაამართლონ ამომრჩეველთა ნდობა.

ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში პირველად არჩეულ დეპუტატთა სახელით ილაპარაკეს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირმა გ. ა. მეტონიძემ, თელავის რაიონის სოფელ კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის შუშამ ნ. გ. ფაციაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. პ. ქემერტელიძემ, თბილისის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის „კომკავშირელის“ მქარგავმა ვ. ს. ზორინამ, ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ მ. დ. ხოფერიამ. მათ გულითადი მადლობა გადაიხადეს ნდობისათვის, კეთილი სიტყვებისათვის და აღუთქვეს, რომ მტკიცედ და თანამიმდევრულად განახორციელებენ ლენინური პარტიის პოლიტიკას, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა იდგნენ სახალხო დეპუტატებისათვის წაყენებული მოთხოვნების დონეზე.

* * *

1984 წლის 15 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ.

აღნიშნა, რომ 1984 წლის 4 მარტს ჩატარებული სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები დიდი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ ერთხელ კიდევ დიდი ძალით უჩვენეს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ზეიმი, პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის სიმტკიცე, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო საბჭოთა ხალხის მჭიდრო დარაზმულობა, მისი სწრაფვა თავდადებული შრომით განამტკიცოს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

მთელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

1982 წლის მაისის, 1983 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა აქტიური ბრძოლის ატმოსფეროში.

მასების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ახალი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს არჩევის შესახებ, პლენუმზე მის სიტყვაში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა და დასკვნებმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩეველისა და მოქალაქისადმი.

რესპუბლიკაში არჩევნებისათვის მზადება და მათი ჩატარება ხორციელდებოდა სსრ კავშირის კონსტიტუციის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის, „სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სრული შესაბამისობით. ნაყოფიერი მუშაობა გასწია საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშიირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიამ, რომელიც გეგმაზომიერად ახორციელებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.

საარჩევნო კამპანია ფართოდ იყო გამოყენებული ყველა დონის საბჭოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მასებთან მათი კავშირის განსამტკიცებლად, მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა 89,9 პროცენტმა, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა 98,6 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა ამომრჩევლებს. 18-დან 25 თებერვლამდე ამომრჩევლებთან დეპუტატთა შეხვედრების ერთიანი კვირის ჩატარებისას ისინი ინფორმაციას აწვდიდნენ მოსახლეობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის რიგგარეშე პლენუმის შედეგების, თავიანთი საქმიანობის შესახებ, ეცნობოდნენ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში შეიქმნა 73 საარჩევნო ოლქი.

რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება და არჩევნები მიმდინარეობდა შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით. შეიქმნა 3.256 რესპუბლიკური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისია. ამ კომისიათა თავმჯდომარეებად არჩეულთა შორის მუშები და კოლმეურნეები შეადგენდნენ 48 პროცენტს.

რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ კრებებში, სადაც ასახელებდნენ და მხარს უჭერდნენ დეპუტატობის კანდიდატებს, წინასაარჩევნო საოლქო თათბირებში, თავიანთ დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრებისადმი მიძღვნილ კრებებში. ამ შეხვედრებზე დეპუტატობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანდიდატებს მიეცათ 330 განაწესი, რომელთა სარეალიზაციოდ მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

3.315.139 ამომრჩეველიდან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 3.315.078 კაცი, ანუ 99,99 პროცენტი; საქართველოს სს რესპუბლიკისაგან კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისაგან ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა 99,99 პროცენტმა, აჭარის ასს რესპუბლიკისაგან — 99,97 პროცენტმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან — 99,99 პროცენტმა.

საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივთა მიერ დასახელებული ყველა დეპუტატობის კანდიდატი, რომელთაც არჩევნებში მიიღეს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, არჩეულია სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

სულ საქართველოს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეულია 73 დეპუტატი. ნათ შორის: 24 მუშა (32,9 პროცენტი), 13 კოლმეურნე (17,8 პროცენტი), 23 ქალი (31,5 პროცენტი), 19 უპარტიო (26,0 პროცენტი), 14 სრულიად საკავშირო ალკა წევრი (19,2 პროცენტი); 18 (24,7 პროცენტი) არჩეული დეპუტატი 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდაა. გასულ არჩევნებთან შედარებით უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეულია მეტი: ქალი — 1,4 პროცენტით, კომკავშირელი — 4,1 პროცენტით, 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა — 1,4 პროცენტით.

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეული არიან წარმოების ნოვატორები, მოწინავე კოლმეურნეები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელები და სპეციალისტები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, სამხედრო მოსამსახურენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

არჩევნების წარმატებით ჩატარებას ბევრად უწყობდნენ ხელს რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, რომლებმაც უზრუნველყვეს კავშირგაბმულობის საშუალებათა, საავტომობილო, რკინიგზისა და საავიაციო ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობა, საარჩევნო ოლქებისა და უბნების საარჩევნო დოკუმენტების ბლანკებით, საარჩევნო ლიტერატურითა და სხვა მასალებით მომარაგება, ამომრჩეველთა კულტურული მომსახურება. საარჩევნო კამპანიის გაშუქებაში საქმიანად მონაწილეობდნენ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, საქინფორმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

* * *

29 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს სს რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკისაგან სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემულ განაწესებს. ინფორმაცია ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილიმა. სხდომაზე აღინიშნა, რომ განაწესები მოიცავენ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დონის ამაღლების, აგრეთვე მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაობის სრულყოფის, არსებული რესურსების სწორი და რაციონალური გამოყენებისა და სხვა საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ ზრდას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ხელმძღვანელობს რა სსრ კავშირის კონსტიტუციით, კანონით სსრ კავშირში დეპუტატთა სტატუსის შესახებ და „ამომრჩეველთა განაწესებზე მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით, დაადგინა:

სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესები განსახილველად გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომელმაც განხილვის შედეგები აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ა/წლის 15 მაისამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა კონტროლი დააწესონ სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულებაზე და მათი რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ყოველწლიურად 1 თებერვლისათვის.

სათანადო დავალება მიეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებასაც.

* * *

განიხილა რა საკითხი 1984 წლის იანვარში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირის შედეგების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანმა კვირამ ჩაიარა მეთერთმეტე ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების, შრომის ნაყოფიერების ზეგეგმით გადიდებისა და გამოსაშვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დამატებითი დავალების შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით.

დეპუტატებმა ამომრჩევლებს გააცნეს ქვეყნისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ასამაღლებლად გასატარებელი ღონისძიებანი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიების გადაწყვეტილებანი.

ამომრჩევლებს შეხვდა 389 დეპუტატი, ანუ მათი საერთო რიცხვის 88,4 პროცენტი, შეხვედრებში მონაწილეობდა 100 ათასზე მეტი მოქალაქე, სიტყვით გამოვიდა 3 ათასი კაცი. შეხვედრების მიმდინარეობისას დაყენებულ იქნა 400-მდე წინადადება და კრიტიკული შენიშვნა.

შეხვედრებზე დეპუტატებმა ინფორმაცია მიაწოდეს ამომრჩევლებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ანგარიში ჩააბარეს მათ ადრე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის მიმდინარეობის, აგრეთვე წინა შეხვედრების დროს ხაკისრი პირადი საწარმოო გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

ამომრჩევლებთან შეხვედრები ხელს უწყობდა ყველა დონის საბჭოების მუშაობაში, კანონებისა და გადაწყვეტილებების შესრულებაში რესპუბლიკის მოსახლეობის უფრო შეგნებულ, საქმიან მონაწილეობას.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ შეხვედრებზე წინანდებურად გამოითქვა საყვედური სამედიცინო, სავაჭრო, კომუნალური, საყოფაცხოვრებო, ტრანსპორტით მომსახურების შესახებ. რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ჩივის თბომომარაგებაში, წყალმომარაგებითა და ელექტრონენერგიით უზრუნველყოფაში შეფერხებების, საზოგადოებრივი კვების ობიექტებისა და სოციალური დაწესებულებების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო. ბევრი აღმასკომის, მათი განყოფილებებისა და სამსახურების წინაშე დაყენებულ იქნა საკითხები საცხოვრებელი სახლების რემონტის, ქუჩებისა და გზების კეთილმოწყობის შესახებ. დიდი ყურადღება დაეთმო მშრომელთა კულტურული დასვენების, სოფლის მოსახლეობას შორის სპორტულ-ფიზკულტურული მუშაობის უკეთ მოწყობის საკითხებს.

სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ამომრჩევლები იძულებული ხდებიან დეპუტატების წინაშე ხელახლა დააყენონ ადრე აღძრული საკითხები, გაუმეორონ თავიანთი კანონიერი მოთხოვნები, რომელთა გამო, დეპუტატთა მეცადინეობის მიუხედავად, აღმასკომები, მათი სამსახურები, ცალკეული თანამდებობის პირნი არ იღებენ კონკრეტულ და დროულ ზომებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ზ. ა. ჩხეიძის ინფორმაცია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ კრებაზე ამხ. ე. ა. შევარდნაძის გამოსვლაში მოცემული მითითებების შესაბამისად ტერიტორიულ ჭრილში კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავებაში ადგილობრივი საბჭოების დასახმარებლად გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს რესპუბლიკის რეგიონების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზურნველსაყოფად.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტერიტორიული გეგმების შემუშავებისა და ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისათვის მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ჯერ კიდევ ბევრი საზრუნავი აქვს. არ არის დაძლეული რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიერ ქალაქებისა და რაიონების ინტერესების უგულებელყოფის შემთხვევები; გეგმების კორექტირება მათ მიერ, როგორც წესი, ადგილობრივი საბჭოების დაუკითხავად ხდება. არადამაკმაყოფილებელია რიგი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების და მუდმივი კომისიების საქმიანობა პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების სამეურნეო ბრუნვაში მოსაქცევად, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და დამხმარე საწარმოთა განვითარებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისა და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის, ადგილობრივი საგეგმო ორგანოების ცალკეულ მუშაკთა კვალიფიკაცია და პროფესიული მომზადების დონე ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „სამეურნეო მშენებლობაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 19 მარტის დადგენილების მოთხოვნათა სარეალიზაციოდ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაავალა:

— აამაღლოს მომთხოვნელობა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საგეგმო კომისიების საქმიანობისადმი, სრულყოს მათთვის მეთოდური და მეთოდოლოგიური დახმარების ფორმები, გააძლიეროს კონტროლი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ცალკეული რეგიონებისა და ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თაობაზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობისადმი, მოამზადოს და რესპუბლიკის დირექტიულ

ორგანოებს დროულად წარუდგინოს საჭირო წინადადებანი ამ დადგენილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად;

— ადგილობრივი საგეგმო კომისიების მუშაკთა პროფესიული მომზადების დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უზრუნველყოს საგეგმო კომიტეტთან მათთვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩამოყალიბება, რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შედგენის მეთოდიკის შესახებ სათანადო საინფორმაციო მასალებისა და სპეციალური ლიტერატურის მომზადება და გამოცემა;

— აღადგინოს რაიონებისა და ქალაქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და პერსპექტიული გეგმების საგანგებო განხილვის პრაქტიკა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და საბჭოების საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიების ხელმძღვანელების მონაწილეობით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაევალათ ძირეულად გარღაქმნან ეკონომიკური საქმიანობა; სრულყონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების შიდარაიონული დაგეგმვის პრაქტიკა; უზრუნველყონ კომპლექსურობა რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში, არსებული დისპროპორციების დაძლევა; უფრო აქტიურად გამოიყენონ ადგილობრივი ბუნებრივი და საწარმოო რესურსები, გაზარდონ საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბები და აამაღლონ მისი ეფექტიანობა; გააძლიერონ კონტროლი სახელმწიფო მართვის ორგანოების საქმიანობისადმი გეგმური დავალებებისა და აღებული სოციალური ვალდებულებების უცილობლივ შესრულების უზრუნველსაყოფად.

■

■ ■

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების ამხ. ამხ. ვ. ა. სობოლევისა და გ. გ. ლეჟავას, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ო. ა. ქავთარაძის ინფორმაციები, აღნიშნა, რომ ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურ კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და მითითებების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენებაში, პლენარულ და სექციების სხდომებზე კრების მონაწილეთა გამოსვლებში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წინადადებების რეალიზაციის საკითხებს, აღნიშნული სამინისტროები დიდ მუშაობას ეწევიან შემუშავებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების (ამხ. ვ. ა. სობოლევი), ჯანმრთელობის დაცვის (ამხ. გ. გ. ლეჟავა) და საბინაო-კომუნალური მეურნეობის (ამხ. ნ. ნ. ნეფედოვი) მინისტრებს:

განაგრძონ მუშაობა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრების პლენარულ და სექციების სხდომებზე, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოხსენების წინასწარ გაცნობისას მათი მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების სარეალიზაციოდ, რესპუბლიკური კრების მონაწილეთა მიერ დაყენებული ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა ამ ხუთწლედში შეუძლებელია შეზღუდული მატერიალური და ფინანსური რესურსების გამო, გაითვალისწინონ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების შედგენისას.

რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაევალათ მკაცრი კონტროლი დააწესონ რესპუბლიკური კრების მონაწილეთა მიერ მათი მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციისათვის განყოფილებების, სამმართველოების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობაზე, ამასთან უზრუნველყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და შენიშვნებისა და წინადადებების ავტორთა პერიოდული ინფორმირება დაყენებული საკითხების გადაწყვეტის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს — მიიღონ საჭირო ზომები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაკთათვის შრომისა და ყოფა-ცხოვრების სათანადო პირობების შესაქმნელად.

მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მოსთხოვოს შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს უფრო ოპერატიულად გადაწყვიტონ სოფლად საყოფაცხოვრებო სამსახურის განვითარების საკითხები, აგრეთვე გაამახვილოს რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ყურადღება ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში მათი მონაწილეობის შემდგომ გაფართოებაზე.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უსინათლოთა საზოგადოების აჭარის სასწავლო-საწარმოო წამოწყების მუშაკთა კოლექტიური განცხადების შემოწმების შედეგები. მუშაკთა ჯგუფმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მიმართა საჩივრით

ამ წამოწყების საუწყებო სახლში ბინების განაწილებისას კანონიერების დარღვევების შესახებ.

პრეზიდიუმის დავალებით საქართველოს სსრ პროკურატურამ შეამოწმა და დადასტურდა, რომ წამოწყების ადმინისტრაციამ და პროფკავშირულმა კომიტეტმა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელი თანამშრომლები აღრიცხვაზე აიყვანეს და საცხოვრებელი ფართობი გაანაწილეს საბინაო კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევით.

საბინაო საკითხების კომისიამ არსებითად რეაგირების გარეშე დატოვა წამოწყების 106 მუშაკის განცხადება; არც ერთ მათგანზე არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება აღრიცხვაზე აყვანისა თუ უარის თქმის შესახებ, არ იყო დაწესებული ბინების მიცემის რიგითობა, აღრიცხვაზე აყვანილთა სია დასამტკიცებლად არ წარუდგენიათ საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის. უფრო მეტიც, წამოწყების მთავარმა ინჟინერმა და პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარემ თვითნებურად გაანაწილეს ბინები და მხოლოდ შემდეგ გააფორმეს ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილების ფიქტიური ოქმი.

შექმნილ მდგომარეობას ხელი შეუწყო ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სრულმა უკონტროლობამ და წაყრუებამ. ამასთან თვით აღმასკომმა დაუმტკიცა ხუთი საგარანტიო წერილი ისეთ თანამდებობის პირებს, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ აღნიშნულ წამოწყებასთან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ცნობად საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. ა. მ. ბარაბაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კოლექტიური საჩივრის შემოწმების მსვლელობაში მიღებულია სათანადო ზომები კანონიერების აღსადგენად — მოწესრიგებულია აღრიცხვა და განსაზღვრულია რიგითობა, სათანადო სიები წარდგენილია დასამტკიცებლად საქალაქო საბჭოს აღმასკომში; გაპროტესტებულია უკანონოდ გაცემული საგარანტიო წერილები, შესაბამის ორგანოებში შეტანილია წარდგინებები დარღვევების ჩამდენ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობისა და ამ დარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ:

მტკიცედ იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებებით ყოველდღიურ საქმეებში სოციალური სამართლიანობის განუხრელად დაცვის აუცილებლობის შესახებ.

გააძლიერონ მუშაობა „ნოვოსიბირსკის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ საბინაო კანონმდებლობის შესასრულებლად გაწეული მუშაობის

შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 30 აგვისტოს დადგენილების სარეალიზაციოდ;

მკაცრი კონტროლი განახორციელონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საბინაო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებისადმი;

უზრუნველყონ საბინაო კანონმდებლობის მოთხოვნათა მკაცრი შესრულება, საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვასა და საცხოვრებელი ფართობის განაწილებაში ჯეროვანი წესრიგის დამყარება; მიაღწიონ ამ საკითხების გადაწყვეტაში ფართო საჯაროობის დამკვიდრებას, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა საგუშაგოების, ზრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბონაწილეობის გააქტიურებას;

აამაღლონ მომთხოვნელობა საბინაო ურთიერთობაში კანონიერების განმტკიცებისათვის, პრინციპული და მკაცრი რეაგირება მოახდინონ კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა ბინის უფლების თითოეული დარღვევის ფაქტზე.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე საკითხები: საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მიერ მიღებული რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის სახელზე შემოსული მოქალაქეთა დეპეშების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შედეგების თაობაზე, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზდიუმებში, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს და რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში 1983 წელს მოქალაქეთა მიმართვების განხილვის შესახებ, 1983 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის ანგარიშის შესახებ და სხვ.